

პრესრელიზი

„საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“

სააღდგომო საჩუქარი კათარზის

„საქართველოს ინდუსტრიულმა ჯგუფმა“ სოციალურად დაუცველი თბილისელებისთვის თანადგომის გამოხატვის მიზნით, აღდგომის სადღესასწაულო დღეებში, ტრადიციულად კათარზისის ორგანიზებით გამართულ აქციაში: „უფასო ცხელი სადილი“ მიიღო მონაწილეობა.

GIG-ისგან კათარზისის ბენეფიციარებსა და სტუმარებს ცხელი სადილით და სააღდგომო ტკბილეულით გაუმასპინძლნენ. კომპანიამ მიუსაფარ და უმწეო მოხუცებს წელს უკვე მესამეჯერ უმასპინძლა. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ სააღდგომო ნობათი დღეს 400-მდე ხანდაზმულს შეხვდა.

საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი როგორც სოციალური პასუხისმგებლობის მქონე კომპანია ყოველწლიურად ულოცავს სააღდგომო დღესასწაულს და ასევე აფინანსებს უფასო სადილს სოციალურად დაუცველი, უმწეო და მიუსაფარი თანამოქალაქეებისთვის სხვადასხვა დღესასწაულის ფარგლებში.

12.04.2015

კომპანია „ჯი-აი-ჯი“ ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინდუსტრიული ჯგუფია საქართველოში. მისი ბიზნეს პორტფელი მოიცავს ნახშირის მოპოვებას, ელექტროენერჯის გამომუშავებას (ჰიდრო, ბუნებრივ აირზე და ნახშირზე მომუშავე სადგურები) ბუნებრივი აირით ვაჭრობასა და უძრავი ქონების მართვას. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი.

